სამშაბათი 1 სექტემბერი 1915 წ.

წ. I.

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 ა. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 165 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 165

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

ახლად დაარსებული საზოგადოების „სინათლის“ მიერ 9 სექტემბერს გაიხსნება ქ. ქუთაისში ქალთა ქართული სასწავლებელი (ორი მოსამზადებელი და პირველი პროგიმნაზიური კლასი).

მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც.

---

ქვრივი მანანა ზურაბის ასული გოდერძიშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 3 სექტემბერს, ქუთაისის სეფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა-და პანაშვიდი მისი ქმრის უდროოთ გადაცვალებულის, ნოტარიუსის თანაშემწის.

**სოლომონ ბურჯენის ძის გოდერძიშვილის**

სულის მოსახსენებლათ.

---

**ქ. ქუთაისი.**

**ექიმი ქალი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

**ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა**

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ⁊ სად. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.

თვ. 975

---

**ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა**

მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნის

**ქალ-ვაჟთა** მოსამზადემელ **სკოლას საბავშო ბაღით.**

სწავლის ფასი თვეში 10 მ.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან.

სკოლის კურთხევა მოხდება სამშაბათს, 1 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 5 საათზე. 6—4

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი

**ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი**

8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი.

გოშბიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

---

**გაბრიელ იოსების ძე**

**ექიმი გოკიელის**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

**ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

---

**ექიმი** ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

---

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი**

**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

---

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

კვირიდან, 30 აგვისტოდან დიდი ფართო პროგრამა.

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისა** და **მინისტრების კრება.**

სამამულიშვილო ომის ისტორიული წლის თავი 19 აგვისტო 1915 წ.

II.

ნაჩვენები იქნება ამერიკული კოლოსალური სურათი:

**მილიონების გიჟნოზის გავლენის ქვეშ.**

15 ათას მეტრის ზომის ლენტი.

---

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოპოებული**

**მ. ზ. კვინიხიძის**

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისაღები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან,** სწავლა კი 1 სექტ. **პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება,** სადაც მიიღებიან **სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.**

---

**გამოვიდა და იყიდება** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი:

**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,**

შედგენილი **ს. რ. გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

---

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.**

**იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.**

---

**ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში მისაღები გამოცდები**

**დაიწყება 10 ენკენისთვიდან.** 3—3

---

ვაცხ-დებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

---

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

**გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,**

**სადაც მომზადდებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო** სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისთვისა და სხ.

ფასი **ოცი მანეთიდან** წელიწადში. **სტუდენტი ვარლამ ფერაძე.**

146——963

---

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 28 აგვისტო. ოფიციალური. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან. ბალტიის ნავსადგურის თავზე გადაიარა გერმანიის ცეპელინმა, რომელმაც რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. ჩვენმა ჰიდროპლანებმა ყუმბარები ესროლეს ვინდავაში მდგომს გერმანიის გემებს. რიგისა და ფრიდრიხშტადტის რაიონში დიდი ბრძოლები არ მომხდარა. იაკობშტადტის რაიონში 28 აგვისტოს საღამოთი მთელი რიგი იერიშებისა მოვიგერიეთ. დვინის მიმართულებით სოკსუნსკთან ჩვენმა არტილერიამ გააფრთხო გერმანელების ჰაეროპლანი, რომელიც ყუმბარებს ესროდა ჩვენს სანიტარულ მატარებელს.

სვენტასა და ვილიას შუა 28 აგვისტოს განმავლობაში მტერი იერიშებს აწარმოებდა. უმთავრესათ მტერი გვიტევდა დვინის გზატკეცილსა და მის მახლობელ გზებზე. განსაკუთრებით მიზანში ამოღებული ქონდა გზატკეცილის სამხრეთ ნაწილი, სადაც იერიშებთან ერთად ძლიერებდა მძიმე და სუბუქ არტილერიის ცეცხლს. ამავე დროს მოპირდაპირე მრავალ რიცხოვანი ძალით განაგრძობს შემოტევას შივინტის აღმოსავლეთ რაიონში საერთო მიმართულებით ვილკომირიდან სვენიაცინისკენ. ვილისა და ნემანს შუა მდგომარეობა უცვლელია. ქვემო მერეჩანკას მტერი არტილერიას უშენდა. 28 აგვისტოს დილიდანვე გროდნოს აღმოსავლეთით სკიდელის ფრონტზე გერმანელები სასტიკ იერიშებს აწარმოებდენ, რომელ იერიშებსა ჩვენ შტიკებით ვიგერიებდით. სკიდელი ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო საღამოს ჟამს მედგარი იერიშის შემდეგ ჩვენს ხელში დარჩა. ჩვენი ცხენოსანი და ქვეითა ჯარი უკან სდევნის თხრილებიდან და სკიდელის სამხრეთ ნაწილიდან გამორეკილ გერმანელებს.

ნემანის სამხრეთ ფრონტზე მდ. ზელვენკაზედ, დ. ნესკისა და ზელვისთან ცხარე ბრძოლა იყო. პესკის რაიონში ჩვენმა არტილერიამ სრულებით გაანადგურა გერმანელების ბატარეია, რის შემდეგაც ჩვენ იოლათ მოვიგერეთ რამოდენიმე იერიში მტრისა. ზელვასთან, მიუხედავათ ძლიერი ცეცხლისა და სულ შემხუთავ გაზისა, 28 აგვისტოს ჩვენ რამდენიმე განმეორებული იერიში გერმანელებისა მოვიგერეთ და კიდეც შევინარჩუნეთ პოზიციები მდინარის მარჯვენა ნაპირზე. როჟანთან მტერი სამჯერ შეეცადა შემოტევას, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა. როვნას მიმართულებით მტრის გაფართოებული შემოტევა ჩვენმა ჯარმა შეაკავა.

კრემენეცის გზით მდ. ზემო გორინის ორსავე ნაპირზე ავსტრიე-

ლებმა იერიშები განაახლეს. იერიშების დროს მტერი ხმარობდა სულისშემხუთავ გაზიან ყუმბარებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყველა იერიში მტერის მარჯვეთ მოვიგერიეთ და ზოგიერთი როტა მტრისა ჩვენმა ცეცხლმა სრულებით გაანადგურა. ტარნაპოლის რაიონში 28 აგვისტოს, დილით, მტერს შევუტიეთ და გადავლახეთ მტრის მედგარი წინააღმდეგობა, ტყვეების გადმოცემით, ახლათ შემდგარი მეექვსე ეგერსკი ბატალიონი სრულებით ამოწყვეტილა. ამ ბრძოლის დროს მტერმა ჩვენს შეტევას ვერ გაუძლო და გაიქცა, დაგვიტოვა რა ტყვეთ 39 აფიცერი და 2500 ჯარისკაცი, 16 ტყვიის მფრქვეველი ხელში ჩავიგდეთ. 28 აგვისტოს მტრის უკან დახევა დნეპრისკენ შევამჩნიეთ.

ტარნოპოლის სამხრეთით სასტიკი ბრძოლები ხდება. აქ ჩვენ მთელი რიგი თავგანწირული იერიშები მოვიგერეთ. ქვემო სერეტზე ჩვენი შეტევა წარმატებით ფართოვდება ტლუსტის რაიონში და სერეტის შესართავთან. მიუხედავათ მტრის ძლიერი ცეცხლისა, დაბა ტლუსტი მტრისაგან გავსწმინდეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 13 აფიცერი და 800 ჯარისკაცი.

შავ ზღვაში ნაპირების ახლოს აღმოვაჩინეთ მტრის წყალქვეშა ნავები, რომელთაც და სადევნათაც გაიგზავნენ ნაღმოსნები. საერთოდ ავსტრო-გერმანელები ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადიან და ცდილობენ გადამწყვეტი იერიშის მოტანას.

შენიშვნა. გერმანიის ოფიციალური ცნობა—(27 აგვისტო) (919) უარყოფს ჩვენს მოხსენებაში მოთავსებულ ცნობას (26 აგვის.) (8 აგვ.) ბევრი ტყვისა და 80 ზარბაზნის ხელში ჩაგდების შესახებ.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი თავის მოვალეობათ სთვლის განმარტოს, რომ შტაბი, კაცის მსხვერპლის, საშუალებისა და სამხედრო ხელოვნების მოთხოვნის საზღვრებში ყოველთვის ცდილობს ესა თუ ის ფაქტი სისწორით გადასცეს და ერიდება ტენდენციური ხასიათის მიცემას. შეცდომები მოსალოდნელია და ხშირად აუცილებელიც იმ უკიდურეს რთულსა და ამაღელვებელ, სრულიად გაუკვებარ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიც სამხედრო მოქმედება სწარმოებს, ამიტომ, არ მიგვაჩნია რა ტარნოპოლთან და ტრემბოვლთან ჩვენი დიდი წარმატება საეჭვოთ, შტაბი ყოველთვის თავის პასუხს სამხედრო დავლის შესახებ აგვიანებს, ვიდრე ბრძოლის ხაზიდან ნამდვილი ცნობები არ მოუვა ხოლმე.

26 აგვისტოს თარიღის სათანადო არმიის ერთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მტრისაგან დატოვებულ ზარბაზანთა შორის ჩვენ მოვახერხეთ ჩვენს მხარეს გამოგვეტანა 6 ათ სანტიმეტრიანი და 6-15 სანტიმეტრიანი ზარბაზანი. ასეთი გამორკვეული მოხსენება ნებას არ გვაძლევს ეს ცნობა საეჭვოთ მივიჩნიოთ. ფრონტების სათანადო სარდლებიდან 25 აგვისტოს მოსული მოხსენება ამბობს, რომ ეს დამარცხება შენიშნული იყო სათანადო არმიის სარდლისაგან უფრო ადრე მზვერავთა ცნობით, რაც, რასაკვირველია, აბათილებს ტენდენციური ხასიათის მიცემის ბრალდებას, ვითომც მოხსენება განგებ აძლევს დიდ მნიშვნელობას იმ მოქმედებას, რომელიც ამ დღეებში მოხდა:

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

## რუსეთი.

**მოსკოვის რეზოლიუციის მომხრეები.**

მოსკოვის საბჭოს ცნობილ რეზოლიუციას მიემხრენ: ორენბურგის, ვიატკის და ასტრახანის საქალაქო საბჭოები, მიემხრო აგრეთვე ხორბლეულობის მოსკოვის ბირჟა.

**დღევანდელი მომენტი და მრეწველთა ორგანიზაციები.**

„კ. ს.“ კორესპონდენტი აუწყებს, რომ მოსკოვის რაიონის მრეწველთა ორგანიზაციების სიეზდმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: სიეზდი ცხადათ, დარწმუნდა რომ ხელმძ. მთავრობის შეცვლა აუცილებელია და საჭიროა დაუყონებლივ მოწვეულ იქმნან მინისტრთა საბჭოში ისეთი ახალი პირები, რომელთაც მთელი ქვეყანა ენდობა.

ამის მისაღწევათ კი აუცილებელია, რომ უმაღლესი მთავრობაც ასეთივე ღრმა რწმენითა და აზრით გაიმსჭვალოს. ყველაფერი ის, რაც ასეთი ნაბიჯის გადადგმას აბრკოლებს და აგვიანებს, გაუსწორებელი შეცდომაა და მთელი რუსეთისათვის დამღუპველია.

**რუსეთი** ამ სიეზდზე ცნობილმა რიაბუშინსკიმ თავის ცხარე სიტყვაში, სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „ჯარისთვის სამხედრო მასალის მიწოდების საქმე ახლა მკვიდრ საფუძველზე დგება. სამწუხარო მხოლოთ ისაა, რომ საზოგადოების ძალას მეტათ გვიან მიმართეს. ახლა კი მთელი პასუხის მგებლობა ჩვენზეა გადმოტანილი; ამიტომ ჩვენი რეზოლიუციები და განცხადებები პირდაპირ არავისადმი არაა მიმართული.

დე ეს კომიტეტის კერძო აზრი იყოს, მხოლოთ ის ხალხმა იცოდეს“.

**სახელ. დუმის შეკითხვები.**

მემარცხენე ფრაქციებმა სახელ. დუმაში ახალი შეკითხვები შეიტანეს, რომლებიც პოლიტიკურ გადასახლებულთა მდგომარეობას და უკრაინელთა პრესის შევიწროებას შეეხება.

**ვის მიმართავენ რეზოლიუციებით?**

ამ ბოლო დროს სახელ. დუმის თავჯდომარეს ყოველ კუთხიდან უგზავნიან რეზოლიუციებს. მოსკოვის შემდეგ რუსეთის მრავალ ქალაქში კრებები იმართება და მზგავსი რეზოლიუციები გამოაქვთ.

**„ბლოკის“ ხანა დადგა**

ამას წინათ „შავი ბლოკი“ დაარსდა, ახლა-20 აგვისტოდან რუსეთის „პალატების“ პროგრესიულ ფრაქციების ბლოკიც შედგა. 23 აგვისტოს ამ ბლოკმა, რომელშიაც სახელ. დუმის მემარცხენე ცენტრის 315 წევრი და სახელმწ. საბჭოს პროგრესიულ წრეები შედიან, თავის სხდომაზე საერთო სამოქმედო პროგრამა-პლატფორმა შეიმუშავა.

ამ პლატფორმას საფუძვლათ დაედო: 1) სამინისტროს შედგენა ისეთ საზოგადო მოღვაწეებისგან, რომელთაც ქვეყნის ნდობა უკვე დამსახურებული აქვთ; 2) ადგილობრივ ადმინისტრაციის განახლება; 3) ადმინისტრაციის თვითნებობის მოსპობა ადგილზე; 4) დავიწყება და პატიება ყველა პოლიტიკურ და რელიგიოზურ დანაშაულებათა, თუ ასეთი დანაშაულობა საზოგადო სისხლის სამართლის ხასიათის არაა; 5) პოლიტიკურ და რელიგიოზურ დამნაშავეთა უფლებების აღდგენა; 6) სარწმუნოების სრული თავისუფლება; 7) სხვა მოდგმის ერების, არა რუსთა შევიწროება-ჩაგვრის შეწყვეტა; 8) ებრაელების თანდათანობით გათანასწორება უფლებით სხვა ერებთან; 9) პოლონეთის ავტონომიის აღიარება და სხვა და სხვა... ამასთან ამავე პროგრამაში ჩამოთვლილია ყველა ის კანონ პროექტები, რომლებიც სახელ. დუმის სენიორ კონვენტმა დაამტკიცა.

„ბლოკმა“ დაადგინა, რომ მომავალ სხდომებზე ისიც გამოარკვიოს, **თუ რა გზით და რა საშუალებით უნდა განახორციელოს მან ზემოთ დასახელებული პროგრამა.**

**ალიაქოთი ადესაში.**

ხურდა ფულის გაქრობამ ქ. ადესაში საძაგელი ფორმა მიიღო: რესტორანებში, ტრამვაიზე და მაღაზიებში ფულის გაქრობის გამო საშინელი აურ-ზაური [illegible] ატეხილი. [illegible] რომელიც [illegible] ლის მიმართ საშინელ მტრობას ბადებს.

ამ ნიადაგზე სპეკულიაციამაც თავი იჩინა. პრესის ახსნა განმარტებას ყურს არავინ უგდებს: აქედან მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება. გამოირკვა, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა ხურდა ფულს არ აჩენს და ამით კრიზისს საშინლათ ამწვავებს. (რ. გ.)

**უკიდურეს მემარჯვენეთა ლოზუნგი.**

„ჰკა მაგათ... დაითხოვეთ... დასაჯეთ... თავი მოკვეთეთ...“ და სხვა ამგვარი სიტყვებ-ფრაზებით არის სავსე, „რ. ს“. გადმოცემით უკიდურეს მემარჯვენეთა ორგანო „რუსკოე ზნამია“.

სხვათა შორის იგი სწერს: „მემარცხენეები სახელ. დუმას სხვანაირათ უყურებენ, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გულ გრილათ ვუცქიროთ მას! კმარა! მეოთხე დუმა გარეკილ უნდა იქმნას და ახალი არჩევნები ყოველ შემთხვევაში ომის დროს მაინც არ უნდა დაინიშნოს. როცა გავიმარჯვებთ, მაშინ ვნახოთ საჭირო იქნება იგი კიდევ, დაუბრუნდებით იმ ძველ სანეტარო რუსულ საკრებულო წყობილებას, რომელიც მეფისა და ხალხის ნამდვილ გაერთიანება—შესისხლხორცებას მოგვცემს. მარა, ხსენებულ გაზეთის აზრით, მარტო დუმის გარეკა როდი კმარა! ახლა ახალი გამანთავისუფლებელი მოძრაობა“ დუმის გარეშეც ვრცელდება: თავის ნებით სხვა და სხვა ახლათ შექმნილი კავშირები და ორგანიზაციები რაღაც ნაირ რეზოლიუციებს თხზავენ. ამ ბოროტების წინააღმდეგ ენერგიული

# ხოლერა.

## ექიმის საუბარი.

(მოკლე დარიგება).

იხ. „სამშობლო №160 161

**სისუფთავე და დეზინფექცია.**

წყლის გარდა, ნოტიო, ფხვიერი, ბინძური, მყრალი ნიადაგი და ბნელი ადგილები ძრიელ ხელს უწყობენ ხოლერის გავრცელებას, რადგან აქ ხოლერის ვიბრიონები სწრაფათ მრავლდებიან. თუ რომ ხელი არაფერმა შეუშალა, ერთი ხოლერის ვიბრიონი რამდენიმე წუთში იქცევა ასათ და ათასათ. ამას გარდა, როგორც მეცნიერთა გამოკვლევა გვიმტკიცებს, ამისთანა ნიადაგში მათ შხამსაც ეძლევა უძლიერესი მომშხამავი ძალა. საკმარისია ხოლერიანი ავადმყოფის განავალი, ნარწყევი ან მისი განაბანი წყალის ნაშხეფები მოხვდეს სულ მცირე ნოტიო, ბინძურ ნიადაგს, რომ მალე მთელი გარემო გაბინძურებული ადგილი მთლათ მოიწამლოს და აქედან ერთმა გადასულმა წვეთმაც მდინარეში შეერიოს, რომ რამდენიმე საათის შემდეგ მთელი მდინარე მოიშხამოს.

მაგრამ ამ შემთხვევაში თვით ბუნება გამოდის ადამიანის საშველათ: როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სიმშრალე, სინათლე და მასთან ერთად მზის სხივები სასტიკათ ხოცვენ ხოლერის ვიბრიონებს. ამიტომაც ხოლერის დროს უნდა ეცადოთ, რომ ყველგან სისუფთავე იყოს დაცული: ნაგავი და ყველა ის, რაც კი იწვევს სიმყრალეს და სინოტიეს, უნდა მოიშოროთ, რომ მზის სინათლემ და სითბომ დახოცოს ვიბრიონები*).

ხოლერის ვიბრიონების დასახოცავათ ხმარობენ აგრეთვე დეზინფექციას ანუ ბაცილების გამქარვებელ საშუალებას.

ცეცხლის გარდა, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ყოველგვარი ბაცილების და შხამის მოსასპობათ, ხოლერის ვიბრიონების გასაწყვეტათ ხმარობენ კირს, კარბოლის სიმჟავეს, სულემას, ფორმალინს და სხვ სადეზინფექციო წამლებს. ხალხისათვის უფრო ადვილი საშოვარებელი და ხელ მისაწდომი არის—კირი, კარბოლის სიმჟავე და შეიძლება კიდევ სულემის წყალი, თუ ექიმის ნებართვით გამოიტანებენ აფთიაქიდან.

კირი უნდა იხმარებოდეს ამ ნაირათ: აიღეთ ერთი ნაწილი ქვა-კირი და გახსენით 5 ნაწილი წყალში; ამ გვარათ მომზადებული კირის წყალი ანუ, როგორც უწოდებენ, „კირის რძე“, უნდა ჩაასხათ ფეხის ადგილში 2—3 ჯერ დღეში; უნდა მოასხათ ეზოში, დაგვის შემდეგ, განსაკუთრებით იმ კუთხეებში, სადაც სიმყრალე და ნოტიო. თუ ხოლერიანი ავადმყოფი სახლში გეყოლებათ მოთავსებული, მალ-მალე კირის რძე უნდა ჩაასხათ იმ ჭურჭელში, სადაც უნდა გროვდებოდეს მისი განავალი, ნარწყევი და განაბანი წყალი. ერთი სიტყვით, კირის რძე იხმარეთ ყოველგან იქ, სადაც კი შესაძლებელია ავადმყოფის უწმინდურება მოხვდეს. ყოველთვის იმდენი კირის რძე უნდა გააკეთოთ, რამდენიც გეჭირვებათ.

კირის რძის მაგიერ შეგიძლიათ იხმაროთ აგრეთვე კირის ფხვნილი: დაუშლელ ქვა-კირს რომ დაასხათ ერთი იმდენივე წყალი, რამდენიც კირია (ერთი ვედრო კირზე ერთი ვედრო წყალი)—მიიღებთ კირის ფხვნილს, რომელსაც დაყრით იქ, სადაც კირის რძე უნდა დაგესხათ.

კარბოლის სიმჟავე (კარბოლკა). ხოლერისთვის ხმარობენ ორ ნაირ კარბოლის სიმჟავეს: ერთი, რომელსაც ეძახიან „გაუწმენდელ კარბოლკას“, ხმარობენ ყოველგან, სადაც კირის რძეს ასხამენ.

ამ მიზნისათვის ხმარობენ კიდევ ეგრეთ წოდებულ „საპონ—კარბოლის სითხეს“, რომელიც მზადდება ამ გვარათ: ერთ ნახევარი გირვანქა მწვანე საპონი (იყიდება აფთიაქის საწყობში ან აფთიაქში) გახსენით ერთ ვედრო თბილ წყალში და შემდეგ შიგ ჩაუმატეთ ცოტ—ცოტობით ერთი გირვანქა გაუწმენდელი კარბოლის სიმჟავე და ყველა ეს კარგათ გასთქვიფეთ ჩხირით.

მეორე ნაირ კარბოლის სიმჟავე, ეგრეთ წოდებული „გაწმენდილი კარბოლკა“ იხმარება, 2—4%: ერთი ჩაის კოვზი გაწმ. კარბოლის სიმჟავე, რომ გახსნათ ერთ ჩაის ჭიქა წყალში (სჯობია თბილში) შესდგება 2% კარბოლის სიმჟავე. 2—4% კარბოლის სიმჟავეს შეასხურებენ ხოლმე ერთნაირ მანქანით (პულვერიზატორით) ავადმყოფის მომვლელს, ავადმყოფის ოთახს, იატაკს და ყველა მის ავეჯეულობას. 2—4% კარბოლკაში, ან სულემასთან 1:1000 ერთათ არეულში, რომელსაც ჩაასხამთ თავდახურულ თიხის ჭურჭელში ან გობში, უნდა შეინახოთ ავადმყოფის საცვლები და თეთრეულობა.

**ხოლერის ნიშნები მოკლეთ შემდეგია:**

რამდენიმე დღის წინად' არა უმეტეს ერთი კვირისა, სანამ ხოლერის საშინელის ნიშნები უეცრათ აღმოაჩნდებოდეს, ავადმყოფს ეკარგება მადა. მუცელი უგვრემს და აფაღარათებს დღე და ღამეში 3—8 ჯერ ძლიერ თხლათ და თითქმის უტკივრათ. ხოლერის ეს ნიშნები, ანუ როგორც ეძახიან „წინამორბედი ხანა“ შეიძლება ხოლერას სრულიადაც არ მოჰყვეს და საშინელი სურათი ხოლერისა უეცრათ დაიწყოს; როგორც კი ადამიანი მოიშხამება ხოლერის ვიბრიონებით.

ხოლერის აუცილებელი ნიშნები

*) ფეხის ადგილები უნდა გააცლევინოთ, სანამ ხოლერა გაჩნდებოდეს; როცა ხოლერა გაჩნდება. ყოველივე უწმინდურების ორმოებს ხელი არ ახლოთ. თუ ორმო სავსეა, ბლომათ კირის რძე უნდა გადაასხათ, ფეხის ადგილი დაკეტოთ და ახალი გააკეთოთ. თუ ეს მოუხერხებელია, დაცლის დროს ბლომათ უნდა ასხათ კირის რძე და ასე გადააქცევინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სასტიკი ზომები საჭიროა დროზე მიიღონ.

ყველაზე უფრო სამხედრო დროს შესაფერი იქნებოდა, ამბობს დოქტორ დუბროვინის გაზეთი, რომ მთელი სახელმწიფოს ძალა-უფლება ერთის ხელში მოექცეს." (რ. ვ.)

## ომის ამბები.

### ვარშავაში.

ვარშავიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ იქ გერმანელებს პურის, ხორცის და ნახშირის მონოპოლია უნდათ შემოიღონ.

იწერებიან აგრეთვე ,იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც ჩამოვარდნილა კრაკოვის არქიეპისკოპოსსა და გერმანიის მმართველ პირებ შორის. გერმანელთ სამღვდელოებისთვის მოუთხოვნიათ, რომ მათ მცხოვრებთა შორის გერმანელებთან კეთილგანწყობილებაზე იქადაგონ.

### მუშების მიწვევა.

პეტროგრადიდან გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს განზრახვა აქვს ორ საფეხურიან არჩევნების საშუალებით კომიტეტში მუშათა ათი წარმომადგენელი მიიწვიოს.

მუშების მოწოდების პროექტი კომიტეტმა უკვე განიხილა.

სამხედრო თათბირზე კომიტეტის წარმომადგენლებათ იქნებიან: გუჩკოვი, კონოვალოვი, ზერნოვი და ერთი მუშა. (თ. ვ.)

### რუსეთი.

### სახელ. საბჭოს და დუმის წევრთა შეთანხმება.

პეტროგრადიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ იმ შეთანხმებებს, რომელსაც მიემხრენ ყველა პროგრესიული ნაციონალისტები კადეტებიანთ და აგრეთვე სახელ. საბჭოს პროგრესიული ჯგუფებიც, საფუძვლათ დაედო: ადმინისტრაციის განახლების, ეროვნული მტრობა-შუღლის შეწყვეტისა და ამნისტიის გამოცხადების მოთხოვნა.

სახელმწიფო დუმას რუსეთის მრავალ ადგილებიდან მოდის ქალაქების, ერობების და კავშირების დადგენილებანი, რომლითაც მთავრობის განახლების საჭიროებას აღნიშნავენ.

პეტროგრადის საქალაქო საბჭოს 2 აგვისტოს უქვეშევრდომილესი მიმართვა განიხილა.

## ომი და ზავი.

### ქ. მინსკის „დაცლა".

კორესპონდენტი იუწყება, რომ ქალაქ მინსკში დიდი ალიაქოთია ატეხილი: ყველა ქალაქიდან გასვლას ცდილობს; რკინის გზის სადგურები ხალხითაა გაჭედილი.

„კ. ს"-ის კორესპონდენტის ცნობით ავსტრია-გერმანიის ლაშქარის მთავარ სარდალთა და მათ თანამოაზრეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა შემდეგი გალაშქრების გეგმის შესახებ. ერთნი ჰინდერბურგის მეთაურობით საჭიროთ ცნობენ, რომ გერმანიის ჯარმა კვლავ სასწრაფო შეტევა და იერიშები განაგრძოს შუაგულ რუსეთისაკენ, ხოლო მეორენი გენერალ მაკენზენის ხელმძღვანელობით არჩევენ, რომ ლაშქარმა რიგა-კოვნო-გროდნო-ბრესტ-კოველ-დუბნო-კამენეცის ხაზზე პოზიცია გაამაგროს და შეჩერდეს.

### ლატიშელ ს. დ. წერილი.

კოპენგაგენიდან „რ. ვ." კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ ლატიშთა სოციალდემოკრატიის საზღვარგარეთელმა კომიტეტმა გერმანიის ს. დემოკრატიას ღია წერილით მიმართა, რომლითაც ის იმპერიალისტების საანექსიო მისწრაფებას შეეხო და ამ მხრით გერმანელ სოციალ-დემოკრატებსაც უსაყვედურა. „გერმანიის ს. დ. შორის ძალიან გავრცელდა ის ზღაპარი, თითქო „დაჩაგრულ ერებს გერმანიის მილიტარიზმი ათავისუფლებს". ლატიშელმა ხალხმა კარგად იცისო, განაგრძობს წერილი, რომ გერმანელთაგან ამკუთხის ანექსია უპირველესად ყოვლისა იუნკრების მემამულეების მდგომარეობას გაამაგრებდა და გააუმჯობესებდა. კურლიანდია და სხ. ეს ისეთი პროვინციებია, რომლებიც კარგა ხანია პოლიტიკურათ და ეკონომიურათ რუსეთიდან არის დაკავშირებული, ამიტომ მათი ანექსია გერმანიას საზღვარზე მეორე ელზას ლოტარინგიას შექმნიდა.

მთელი კურლიანდია, პოლონეთი და ლიტვა ახლა სულერთიანათ დაცლილია და გაპარტახებული. გერმანიის ს. დ. კი სამხედრო ბიუჯეტს ისევ ხმას აძლევს და ამით სისხლის ღვრას ხელს უწყობს, აქედან კარგათ უნდა ვიცოდეთ თუ რა ხასიათის იქნება ის „განთავისუფლება", რომელზედაც გერმანია ს. დ. გველაპარაკება, ის სოციალდემოკრატია; რომელიც წინათ მთელი ინტერნაციონალის სიამაყეს შეადგენდა და წინამძღოლათ ითვლებოდა.

ამ ხანათ, განაგრძობენ ლატიშელიგერმს. დ. ოფიციალური წრეების იმედი აღარ უნდა ვიქონ.! მაგრამ რას ფიქრობს თვითონ გერმანიის მუშათა კლასი? ნუ თუ იგი დღეს მაინც აღარ გამოვა და არ მოითხოვს; შეწყდეს ომი და ჩამოვარდეს ზავი! მხოლოთ ასეთი გამოსვლა იხსნის გერმანიის ს. დ. სახელს.

### 1 ენკენისთვე, ქ. ქუთაისი.

დღევანდელ ჩვენ გაზეთში სასიამოვნო და მეტად საყურადღებო განცხადებას ამოიკითხავთ: ქუთათურ სა-განმანათლებლო საზოგადოებას „სინათლეს"-ს—გადაუწყვეტია 9 ენკენისთვიდან დააარსოს ქართული გიმნაზია ქალთათვის, ე. ი. განუზრახავს დააარსოს ისეთი სასწავლებელი, სადაც, თანახმად 1914 წლის ივლისის კანონისა,—გარდა რუსულისა და რუსულ ისტორია—გეოგრაფიისა, ყველა საგნებს ქართულად ასწავლიან.

ვისაც სწამს ქართველობა და საქართველოს მომავალი, ვინც გულით ატარებს სიყვარულს თავის სამშობლოისას, ვისაც მცირეოდენი ნიშანწყალი კიდევ შერჩენია ქართველობისა და სავსებით არ გადაგვარებულა, იმისათვის ამაზე სასიხარულო ამბავი სხვა არა იქნებარა.

ენა არის ბურჯი ეროვნებისა, დედა-კაცი კიდევ—ბურჯი ოჯახისა. თუ დაეცა, გაირყვნა ენა ამა თუ იმ ერისა, წაიქცევა, გათახსირდება თვით ერიც, თუ დაეცა, დაკნინდა დედაკაცი, დაეცემა თვით ოჯახიც, გაიხრწნება შთამამავლობა!

ამის მაგალითები ბევრი ვიცით ისტორიაში, ამ ჭეშმარიტების ნათელყოფას შეალია თავისი ნიჭი ბევრმა პედაგოგმა და მათ შორის ნეტარ-ხსენებულმა იაკობ გოგებაშვილმაც—იხილეთ სხვათა შორის მისი „ბურჯი ეროვნებისა"—და ამიტომ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ან კი რა საჭიროა გრძელი სიტყვა იქ, სადაც ყოველ დღიური ჩვენი ცხოვრება—თვით დღევანდელი დღე მზესავით აშკარავებს, რომ თუ რაიმე სიგლახე გვჭირს ჩვენ, ქართველებს (და ან კი რომელი სიგლახე არა გვჭირს! ყველაფერი იმისი ბრალია, რომ საქართველო ასცდა თავის ისტორიულ გზას, მოაკლდა ეროვნულსა და ბუნებრივ აღზრდას, რისთვისაც მთლიანი ტიპი ქართველისა დაწვრილმანდა და გათუნდა!..

სამაგიეროთ შემუშავდა ჩვენში ორი უარყოფითი სახება, ორი უქნარა და კაცთმოძულე ნაკვთი ქართველისა. პირველი ნაკვთი არის ნაკვთი „ყალბი პატრიოტისა" მეორე ნაკვთი არის ნაკვთი „ყალბი სოციალისტისა". ხოლო თუ თავისი ბუნებრივი ნიჭის მეოხებით ვინმე ჩვენთაგანი გადარჩა ზეგავლენას ყალბის აღზრდისას, თუ ვინმე ჩვენთაგანი დარჩა მატარებლათ ნამდვილი ქართულის სულისა და გულისა, იგიც იძულებულია ან მოიხაროს და მოიკაკვოს, (როგორც, მაგალითად, აკაკი) ან გატყდეს და მოისპოს! (როგორც, მაგალითად, ილია).

საზოგადოებრივი ჩვენი ცხოვრება კი მოითხოვს მთლიანსა და მედგარ მესვეურებს, ჩვენ ეროვნულსა, თუ საკაცობრიო თვით არსებობას კი სჭირია მებრძოლი მტკიცე, ვით კლდე და შეუპოვარი, ვით ხირიმის ტყვია.

აბა, ახლა გადაავლეთ თვალი ჩვენ ყოფნას და გულახდილათ მიბრძანეთ:

— ბევრი გვყავს ასეთი მესვეურნი, ასეთი მებრძოლნი?..

პასუხს თქვენგან ველით.

ჩვენ კი ათასში ერთს არა ვხედავთ ასეთს, ორი ათასში ერთზე ვერ მიგითითებთ, რომ იგი ერთი მაინც ღირსეულად პატივცემული იყოს ერისაგან, მასსისაგან...

ოჯახი ჩვენი არეულ-დარეულია, საზოგადოება დანაწილებულ-დაჯგუფებული, ახალ-თაობა გადაგვარებული, ქალი ქალს არა ჰგავს და კაცი კაცს!

ნუ გაგვიწყრებით სიმართლის თქმისთვის, მაგრამ ეს ასეა!

ამას მოწმობს ჩვენი მოპყრობა ერთი ერთმანეთისადმი, ამას მოწმობს ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, ამას მოწმობს დღევანდელი ჩვენი უილაჯობა.

ორპირობა, სულმდაბლობა, თვალთმაქცობა ან ბიუროკრატიზმი—აი უმთავრესი თვისებანი ქართველ მამაკაცთა უმრავლესობისა.

გადაგვარება, უთვითნებობა, მოვალეობის დავიწყება და მოდებით გატაცება—აი გულის თქმა ქართველ დედაკაცთა უმრავლესობისაც!..

საერთოთ კი ვცხოვრობთ ისე, ალალ-ბედათ, ინერციით, სხვის ფეხის აყოლებით და, თუ გნებავთ, სხვის იმედითაც. ხოლო, როცა კაცი სხვისი სათრევი გახდება, მისი საქმე წასული თუ არა, დაღუპვის გზაზე მაინცა სდგას.

მერე რა არის ამის მიზეზი? ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ ამის უმთავრესი მიზეზი არის ის გარემოება, რომ ქართველი კაცი იზრდება არა ბუნებრივათ, არა ეროვნულ-ისტორიულ ნიადაგზე!..

ახლა კი გვგონია, ღვთით, ბოლო ეღება ასეთ ჩვენ არა ნორმალურ მდგომარეობას.

ნება მოგვცეს დავაარსოთ ისეთი სკოლები, სადაც სწავლებაეროვნულ ენაზე იქნება.

ერთი ასეთი სკოლათაგანია „სინათლის" სკოლაც.

ჩვენ ღრმათა გვრწამს, რომ, როდესაც ჩვენი ახალთაობა გაეცნობა ჩვენ ისტორიას, როცა შეიგნებს და შეიმცნობს სულს ჩვენის ყოფნისას და მადლს ჩვენის არსებობისას, [illegible] ჩვენი ახალთაობა შეისწავლის ქართველი ხალხის ჭირნახულს [illegible] გაითვალისწინებს პოლიტიკურ-ეკონომიურ იდეალს საქართველოისას, ჩვენი დღევანდელი ორჭოფული ყოფნა სამარცხვინოთ მოგვეჩვენება და მომავალი ახალი საქართველო კვლავ წარმოშობს ისეთ გმირებსა და მებრძოლებს, რომელთა ღვაწლითაც დღესაც ვსულდგმულობთ, მიუხედავათ ათასგვარი სიდუხჭირისა!

— გინდა ადამიანური ცხოვრება, სიცოცხლე?

— იცან თავი შენი ნუ იქნები სხვის სათრევი!...

აი, ის ჭეშმარიტება, რომელიც განმტკიცდება ქართული სკოლებით და პირველი იმათგანი უნდა იყოს ქუთაისის „სინათლის" ქართული სკოლა ქალთათვის!

მაშ, ვუსურვოთ წარმატება!

დაანთოსმცა იგი ჩვენმა დაულალავმა მზრუნველობამ, ვით წმინდა კელაპტარი დროთა ვითარებისაგან დანგრეულ, მაგრამ მადლით სავსე ტაძარში.

ასეთი ტაძარი კი არის ჩვენი საყვარელი სამშობლო—საქართველო!.

## თეატრი და ხელოვნება.

**სოფ. ჭალასთავი** (ქუთ. მაზრა). შაბათს, 15 აგვისტოს, სოფ. ჭალასთავში, სტ. მიხეილ ტყავაძის მეთაურობით, გაიმართა უფასო წარმოდგენა, ადგილობრივ სამრევლო სკოლის დარბაზში. წარმოადგინეს აკ. ცაგარლის ისტორიული პიესა „ქართველი დედა". წარმოდგენის წინ, ბ. მ. ტყავაძემ ხალხს ვრცლათ და მდაბიური ენით განუმარტა დაბა სოფლებში წარმოდგენის მნიშვნელობა; აგრეთვე გააცნო პიესის შინაარსიც. ბ. ტყავაძის სიტყვამ, ძალიანი გავლენა იქონია ხალხზე, რისთვისაც ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს „ის.

განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო, ს. კუპრაშვილის ასული, (მარინე) ა. კაპანაძის ასული, (ლეილა) ლ. ყიფიანის ასული, (ფატმა) ელისო პატარიძე, (ომარხან) მ. ტყავაძე, (ვახტანგ) კ. პატარიძე, (სულეიმან ბეგ) ს. ჭირაქაძე, (ბეჟან) დავ. იაშვილი, (ფარსადან). დანარჩენები ცოტა სუსტობდენ.

საერთოდ წარმოდგენას არა უშავდა-რა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

მადლობისა და მიბაძვის ღირსია სტ. მ. ტყავაძე, რომელიც არავითარ შრომასა და ენერგიას არ ერიდება, ბეჩავი სოფლელი ხალხის გამოსაფხიზლებლათ, რომ რამეფერათ ბნელით მოცულ თავის სოფელში განათლების სხივი შეაშუქოს და გამოიყვანოს იმ მდგომარეობიდან ხალხი, რომელსაც თანამედროვე სოფელი განიცდის. შრომაც ასეთი უნდა, სამკალს მომკელიც გამოჩენია!..

**სევ. ჭირაქაძე.**

## ახალი ამბავი

### ქუთაისი.

გუშინ, 31 აგვისტოს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გადახდილ იქმნა პარაკლისი სწავლის დაწყების წინ. პარაკლისზე დროის შესაფერი

---

არიან: შეუწყვეტელი რწყევა, ფაღარათი, სისუსტე, ფეხების, ხელების და ყველა ასოების კრუნჩხვა. ავადმყოფს აფაღარათებს ყოველ ხუთ წუთში და უფრო ხშირათ, პირიდან ნარწყევი პირველ ხანს შესდგება საჭმლის სხვა და სხვა ნაწილებისაგან, შემდეგ კი ნაღველი ურევია და ბოლოს იგი არ გაირჩევა განავალისაგან. როგორც პირიდან ამონარწყევი, ისე განავალი ჰგავს კარგათ მოხარშულ ბრინჯის წვენს. ფაღარათის დროს ავადმყოფს თითქმის არც აჭინთებს და არც მუცელი სტკივა. თუმცა პირიდან და უკანიდან სასმელ-საჭმელი და განავალი მთლათ იცლება, პირისღება მაინც არ სწყდება; კუჭსა და ნაწლევებს ჰუჰყუნი გააქვთ. ეს იმით აიხსნება, რომ კუჭში და ნაწლევებში ქვონავს სხეულის წვენი, რომელიც საჩქაროთ იცლება პირიდან და ტანიდან. ამ მიზეზითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ რწყევის დაწყებისათანავე პირიდან ამონარწყევი მუდამ უფრო მეტია, ვიდრე მიღებული საჭმელი.

რადგანაც ავადმყოფის სხეული ჰკარგავს ბევრ წყალს, მას ეკარგება შარდის და ოფლის დენა. ავადმყოფი მეტათ სუსტდება, ხელები, ფეხები და სხვა ასოები უცივდება და ულურჯდება; სიცხე აქვს დაკლებული: ღლიაში, რომ ჩაუდოთ ტერმომეტრი (სიცხის გასაშინჯავი იარაღი) სიცხე 36 ან უფრო ნაკლებია. ავადმყოფს ეკარგება მადა და გრძნობს აუტანელ წყურვილს, მხოლოდ თუ მისი სურვილი დააკმაყოფილეთ, იმ წამსვე აუვარდება საშინელი რწყევა. (ამიტომ წყალი არ უნდა ასვათ და მის მაგიერ ყინული უნდა აყლაპოთ, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ) თუმცა გონება არ ეკარგება, მაგრამ ავადმყოფი მიბნედილია, კანი იმდენათ მშრალია, ნაოჭათ რომ მოკეცოთ, აღარ გაიშლება, თვალები უღრმავდება, ცხვირი უწვრილდება და უგრძელდება, თვალებს ვერ ხუჭავს. დაღალული და ხრინწიანი მაღალი ხმა ეძლევა. თუ ეს საშინელი მდგომარეობა სიკვდილით არ გათავდა, მაშინ ავადმყოფი ნელ-ნელა კარგათ ხდება და 10—15 დღის შემდეგ მორჩება. ხოლოდამ შეიძლება დაუტოვოს ნაწლევების, ჰაჰების, ფილტვების ანთება და აგრეთვე საოფლე (ტიფი) ან სხვა ავადმყოფობა.

**ექიმი გაბ. გოკიელი.**

(დასასრული ხვალ).

და მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა გაბრიელ ცაგარელმა. ამ სიტყვით მამა დეკანოზმა ნათლად დაუხატა მსმენელებს თანამედროვე გაჭირვებული მდგომარეობა რუსეთისა, აუწერა ყველა ის მსხვერპლი რომელიც კი აქამდე გაგვიღია, და დასძინა: თუ არ დავკარგავთ სულის სიმტკიცეს და თითოეული ჩვენთაგანი პირნათლად აასრულებს თავის მოვალეობას, გამარჯვება ჩვენი იქნებაო.

პარაკლისს დაესწრნენ დირექტორი, ინსპექტორი მასწავლებელნი, კლასის დამრიგებელნი, მოწაფენი და მრავალი მლოცველი.

სწავლა დღეიდან დაიწყება.

✦ 28 აგვისტოს მოხდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება, რომელმაც საზოგადო კრების დადგენილებანი ერთხმად დაამტკიცა. კრებები მოხდება ყოველ კვირაში, პარასკეობით, საღამოს 7 საათზე.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა დავით ოტიას ძე ნიჟარაძემ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქში, რომ საჩქაროდ დამტკიცებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის ახლად გახსნილი სათავად-აზნაურო ქალთა ქართული გიმნაზიის წესდება.

✦ კვირას, 30 აგვისტოს, მსახიობმა ლ. ჩარკვიანმა ავადმყოფ თამარა ივანისძის სასარგებლოთ გამართა ლიტერატურულ-დრამატიული საღამო. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. მსახიობ გ. არადელ იშხნელის მონაწილეობით წარმოადგინეს ავქ. ცაგარლის პიესიდან „მათიკო“-ს ერთი მოქმედება ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობდენ; ლ. თომაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ცვარ-ნამი ლადო მაჭავარიანი, მ. ანაშვილი და სხვა.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლათ მიიწვიეს ი. თ. ცინცაძე. (ია ეკალაძე). ამ სასწავლებელში ქართული ენის მუდმივ მასწავლებლათ ითვლება ბ-ნი. ლ. დარჩიაშვილი, რომელიც შარშან ზაფხულს ევროპაში მოგზაურობის დროს, გერმანელებმა დაატყვევეს და დღესაც არ დაბრუნებულა.

✦ შაბათს, 29 აგვისტოს, სხვა და სხვა მიზეზების გამო მიხეილ წულუკიძის ლექცია არ შესდგა. გადიდო ხვალისთვის.

✦ გუშინ, 31 აგვისტოს, ქუთაისის ყველა სასწავლებელში პარაკლისი გადაიხადეს. სწავლა დღეს, 1 სექტემბერს, დაიწყება.

✦ ამ მოკლე ხანში სოფ. დაბლა საქარაში ვაჟა-ფშაველას სახელობაზე გაიხსნება წიგნსაცავ-სამკითხველო.

✦ დღეს 1 სექტემბერს, ქუთაისის კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება საოჯახო საღამო.

შემოსავალის 10% გადადებული იქნება დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ.

✦ 21 აგვისტოს სოფ. ხვარეთში (ოზ. მაზრა) ეტლით მიმავალ მგზავრებს სროლა აუტეხეს ყაჩაღებმა. მოჰკლეს ერთი ცხენი. წაიღეს 130 მანეთი ფულათ და სხვა ნივთები.

✦ როგორც სოფ. გეგუთიდან გვწერენ, წელს მოსავალი ნაკლებია. სიმინდი შარშანდელი მოსავალის ნახევარიც არ მოვაო.

## დიდი დანაშაულობა.

(კერძო მასწავლებელთა საყურადღებოდ.)

ამ ბოლო დროს სამშობლო ენის სწავლებას ჩვენს დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში თანდათან ჯეროვანი ყურადღება ეძლევა და დადგება მალე დრო, როდესაც ის სავალდებულო საგნადაც გახდება. გამოიცა კანონი, რომლის ძალით ხალხს ნება ეძლევა დაიარსოს ისეთი სასწავლებლები, სადაც საგნების სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. ქუთაისში ასეთი სასწავლებლები დღეს გვაქვს ქართული გიმნაზია და ეხლა კიდევ არსდება „სინათლის“ საზოგადოების მიერ ქალთა ქართული გიმნაზია, დღეს ქუთაისში ბევრია კერძო მასწავლებელი, რომლებიც ამზადებენ მოსწავლეებს დაბალ და საშუალო სასწავლებლების პირველი კლასებისათვის; სამწუხაროდ ზოგი მათგანი სრულებით არ ასწავლის მოსწავლეებს ქართულ ენას და ზედმეტ ბარგად სთვლის სამშობლო ენაზე წერა-კითხვის სწავლებას, რაც წელს მოსწავლეთა გამოცდის დროს შევამჩნიეთ და კიდევაც აღიარეს მოსწავლეებმა, რომ ესა და ეს კაცი გვამზადებდა და ქართულ წერა-კითხვას არ გვასწავლიდაო. ქართული მოსწავლე შედის პირველ კლასში და „ბუნების კარიდან“ ან „გუთნიდან“ მოთხრობის წაკითხვა არ შეუძლია თავისუფლად, არ იცის სადაურია, რომელ ეროვნებას ეკუთნის, რომელი გუბერნიისა და მაზრის მცხოვრებია, თავის სახელსა და გვარს თავისუფლად ვერ დაგიწერს. ეს დიდი დანაშაულობაა იმ ქართველ მასწავლებელთა მხრით, რომლებიც ამზადებენ კერძოდ მოსწავლეებს. რუსეთის წარჩინებული პედაგოგები იმ აზრისა არიან, რომ სამშობლო ენას პირველი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი და ამ ვაჟბატონებს თუ ეს ვერ შეუგნიათ, რაღას მასწავლებლობენ და რაღათ ატყუებენ ხალხს! ასეთი ადამიანები ქართველი შეგნებული ხალხიდან დაიმსახურებენ კიცხვა-გმობას. დღეს როგორც საშუალო, ისე უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებშიაც ქართულ ენას დათმობილი აქვს კვირაში ორ-ორი გაკვეთილი და დაწესებულ პროგრამასაც გადიან მასწავლებლები; პროგრამაში შედის, როგორც ქართველი მწერლების გაცნობა, ისე სამშობლოს აღწერა და ცნობები საქართველოს ისტორიიდან, ამიტომ პირველ კლასებში მისაღებმა ბავშმა უნდა იცოდეს თავისუფლად წაკითხვა „ბუნების კარ-გუთნიდან“ და ერთხაზიან რვეულზე წერაც. ქართველ მასწავლებლებს არ ეპატიება სამშობლო ენის აბუჩად აგდება.

ლადო ბზვანელი.

## წერილი აბასთუმნიდან.

(აბასთ. ჭლექთა მებრძოლ საზოგ. გამგეობის საყურადღებოდ...)

კარგი ხანია, რაც აქ არსებობს ეგრედ—წოდებული ჭლექთა მებრძოლ საზოგადოების აბასთუმნის განყოფილება, რომლის მიზანსაც, ეჭვს გარეშეა, ყველა ჩვენთაგანი იცნობს და ამიტომ მისი აღნიშვნით თავს არ მოვაბეზრებ პატივცემულ მკითხველს. არც მისი მოქმედების ღირსება-ნაკლოვანებების გამოკვლევას შევუდგები ამ წერილში, მხოლოდ არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ამ საზოგადოების ერთს ფრიად დამახასიათებელ ფაქტზე.

წელს, ამ რამდენსამე თვის წინად, ზემო აღნიშნულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა აბასთუმანში გიგიენური სასადილოს გახსნა, რათა, როგორც ქუჩებში გამოკრულ მათ განცხადებიდან სჩანს, კარგი ღირსების სანოვაგისაგან დამზადებული საჭმელები, რაც შეიძლება იაფათ მიეწოდებიათ აქ მყოფ ავათმყოფ პირებთათვის, და ამით, ნაყოფიერი დახმარება გაეწიათ მათთვის...

მიზანი, როგორც ხედავთ, მეტად სიმპატიურია და მოსაწონი და როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხიც დიდის აღფრთოვანებით შეეგება საზოგადოების ასეთ კეთილ განძრახვას.

ყველა ელოდა. რომ ამით ოდნავ მაინც შემცირდებოდა აქაური გულამღვრევი ექსპლოატაცია, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ურიცხვათ და ურიცხვათ უწევენ ამ „ჭლექთა სამეფოში“ ჩამოსულ პირთ.

მაგრამ...

მოლოდი გაცრუვდა... ფიქრები ჩაიფუშა... სასადილო ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც მრავალი სხვა, კერძო პირების მიერ გახსნილი სავაჭრო ჯიბეების გასავსებათ... იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ კერძო პირები წელს სადილს 16-18 მან. იძლევიან ხვეწნითა-და-მუდარით,—საზოგადოების სასადილოში კი სამი მანეთი საწევრო გადასაგადია საჭირო და 17 მანეთი კი სადილის რასაკვირველია, საქველმოქმედო სახით (!) და დამადლებით...

არ ვიცით, რას მივაწეროთ საზოგადოების ასეთი დადგენილება, მხოლოდ იმას კი გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ასეთ პირობებით სასადილოს გახსნას, ჩემის აზრით, არ გახსნა სჯობდა, რადგანაც ეს ფაქტი ამცირებს და სახელს უტეხს ხალხის თვალში როგორც სასადილოს გამგე კომიტეტს, ისე თვით მთავარ საზოგადოებასაც, რომლის მეთაურობითაც გახსნილია ეს სასადილო...

მოვახსენებთ საზოგადოების გამგეობას აგრეთვე იმასაც, რომ თუ მათი მიზანი ჭლექთან ბრძოლა, და ჭლექით დასნეულებულ პირთა დახმარებაა,—ეს, უპირველეს ყოვლისა, მითი უნდა დაენახვებინა მას აბასთუმნის მცხოვრებთათვის, რომ საქველმოქმედო გიგიენურ სასადილოში მოსიარულე პირთათვის, სადილ-ვახშამი იმ ფასით მიეწვდინა საზოგადოებას, რა ფასათაც თვითონ მას უჯდებოდა იგი, ვინაიდან, დღეს იქ მოსიარულე ახალ გაზდობა, თითქმის ყველა გამოუკვეთლივ, იმ სნეულობით არის დაქანცული, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც თვით საზოგადოებას დაუსახავს...

ასეთ საქველმოქმედო სახით გახსნილს სადილოებში მოგება-ნაშოშვრობას ადგილი არ უნდა ქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასადილოც ჰკარგავს თავის ღირებულება მნიშვნელობას და მისი ქირისუფალნიც...

შალვა ფუთიშვილი.

## ხმა თამაკონიდან.

(სამეგრელო.)

ვინც ჩვენი სოფლის ხალხთან დაახლოვებულია და მის უფერულ ცხოვრებას აკვირდება, ის უეჭველად დამეთანხმება, რომ მეტად მძიმე და აუტანელია ჩვენი გლეხის დღევანდელი ცხოვრება; წარმოუდგენელია ის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, რომელსაც ისინი განიცდიან; უმაგალითო ომმა უმაგალითო სიმშილობამ, ბუნების უმაგალითო სიმკაცრემ, უმაგალითო სიძვირემ ყოველგვარი სანოვაგისამ ხალხი წელში გასწყვიტა და ჩააგდო სასოწარკვეთილებაში; ეს მოვლენა, თუმცაღა მთელ მხარეს ჰქირივით მოედო, მაგრამ, განსაკუთრებით, ზემო სამეგრელოსათვის ერთი ათად უფრო საგრძნობელი შეიქმნა; ხალხის დღევანდელ ღრტვინვა-გოდებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ სად არის მხსნელი?

ყველა ამაზე უფრო სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ეს მხარე მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ—განმანათლებელ დაწესებულებას და ძალზეც ჩამორჩენილია თავის მოძმე ქართველობას. მას არ ჰყავს ისეთი მოთავენი, რომელთაც შეეძლოსთ შეებრძოლონ ამ დაბრკოლებას და ხალხი გონებრივად წინ წასწიონ; მას არ ჰყავს მოღვაწე და თუ თითო ოროლა გამოჩნდება ხოლმე ე'ა დალოცვილებიც სოფლის [illegible] ჩვენი მხრის ერთ-ერთ მოღვაწეთ უნდა ჩაითვალოს [illegible] დეკ. ვ. ჩაჩიბაია, მისი მეცადინეობით დაარსდა სოფ. ვიწიაში ორ კლასიანი სამასწავლებლო სამრ. სკოლა, რომელსაც არა ერთი და ორი ათეული ღარიბ-ღატაკი ნიჭიერი გლეხის შვილი დაუყენებია სწორ გზაზე. მისი სახლი თავშესაფარია უქონისუფლო ბეჭით მოწაფეთათვის მისივე ღვაწლით დაარსდა სოფ. კიზრაში წვრილი კრედიტი და საფოსტო ოპერაცია,—რამდენადაც ჩვენ ვიცით მას არა მცირე ღვაწლი მიუძღვის მომავალი ქსენონის დაარსებლად და თუ არა ეს მძიმე ომი, შეიძლება განეხორციელებინა კიდეც ეს კეთილი საქმე, რომლის დაარსების იმედი, ვგონებ, დღესაც არ უნდა ჰქონდეს დაკარგული.

როგორც ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვეთ, დეკანოზ ჩაჩიბაიას ახლა განუზრახავს თავის სკოლასთან დაარსოს თავშესაფარი 50 უღარიბეს ობოლი მოსწავლისათვის, სადაც ისინი გარდა წერაკითხვისა, პრაქტიკულათ და თეორიულად შეისწავლიან ხელოსნობის რომელიმე დარგს, ამ მიზნის განსახორციელებლად მას მიუმართავს პეტროგრადში რომანოვის კომიტეტისათვის, რომელსაც ყოველგვარი ხარჯის ნახევარი უკისრნია, ხოლო მეორე ნახევარი ხარჯის დასაფარავად ეძებს წყაროებს; სხვათა შორის მას მიუმართავს ვიწიის საბლაღოჩინოს სამღვდელოებისათვის, რომელნიც გულ მხურვალედ მიეგებნიან ამ კეთილ განზრახვას და ამას წინათ კრებაზე განაჩენით დაუდგენიათ ყოველწლიობით შეიტანონ განსაზღვრული წვლილი ამ ფრიად სიმპატიური საქმის დასახმარებლად.

ვუსურვებთ მ. დეკანოზს ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

მკვიდრი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.

თვ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.